ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№18

ქ. თბილისი; 13 აპრილი, 2018 წ. 13:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
დავით ჭელიძე
ქეთევან მამულაშვილი
ვახტანგ შაქარიშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ელენე ოზაშვილი
ლილე ლიპარტელიანი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი - სერგო ბირკაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - გიორგი გეჯაძე

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი - გიორგი კიკვიძე

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სამშენებლო კონტროლისა და ექსპლუატაციის განყოფილების უფროსი - მაია ჯაფარიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტი - მარიამ ჩივაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - ლევან მიქავა

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ადმინისტრაციის უფროსი - თამარ მათიაშვილი

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „მშენებლობის (განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის გარდა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-94 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

2. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25[1] მუხლით გათვალისწინებული მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებლის შემოღების, მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 თებერვლის №3-9 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.

6. „საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით ,,რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით ,,ჭავჭავაძის გამზირი - კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

7. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3, IV მ/რ, კორპუსი N425-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (ს/კ: N01.19.39.002.091; N01.19.39.002.092) პირდაპირი განკარგვის

ფორმით პრივატიზებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალური შემადგენლობის ცვლილების საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - **გიორგი გეჯაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „მშენებლობის (განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის გარდა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-94 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ იცვლება მშენებლობის სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების თაობაზე აქტის გამოცემის დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის ოდენობა და შესაბამისად, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-94 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებში.

მომხსენებლის თქმით, იზრდება მომსახურების ტარიფები შემდეგი სახით:

ბ) III კლასს მიკუთვნებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობით 1500 m^2-მდე და მიწის ზედაპირიდან 14 მ-მდე სიმაღლის შენობა-ნაგებობისათვის:
ბ.ა) განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში - 2000 ლარი, ნაცვლად - 1000 ლარისა;
ბ.ბ) განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში - 1500 ლარი, ნაცვლად - 700 ლარისა;

გ) III კლასის შენობა-ნაგებობებისათვის ან/და შენობა-ნაგებობებისათვის, რომლის საერთო სამშენებლო ფართი არ აღემატება 6000 m^2, გარდა, ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობის:
გ.ა) განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში - 3000 ლარი, ნაცვლად - 1500 ლარისა;

გ.ბ) განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში - 2000 ლარი, ნაცვლად - 1000 ლარისა;

დ) IV კლასის შენობა-ნაგებობებისათვის ან/და შენობა-ნაგებობებისათვის, რომლის საერთო სამშენებლო ფართი აღემატება 6000 m^2-ს:
დ.ა) განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში - 4000 ლარი, ნაცვლად - 2000 ლარისა;
დ.ბ) განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში - 3000 ლარი, ნაცვლად - 1500 ლარისა;
დ.გ) განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში - 2000 ლარი, ნაცვლად - 1000 ლარისა.

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსმა - ბატონმა **გიორგი კიკვიძემ** აღნიშნა, რომ მშენებლობის სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების თაობაზე აქტის გამოცემის დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის ოდენობის გაორმაგება განაპირობა შესაბამისი კლასის შენობა-ნაგებობებზე პროექტის დარღვევით მშენებლობის წარმოებისათვის გათვალისწინებული საჯარიმო თანხების გაზრდამ.

ბატონმა **გიორგი კიკვიძემ** ასევე განმარტა, რომ მშენებლობის სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების 1 (ერთი) დღიანი ვადა უქმდება, იმ მოტივით, რომ აღნიშნული დროის მონაკვეთი არ არის საკმარისი უფლებამოსილი სამსახურის მიერ შესაბამის საქმიანობათა განხორციელებისათვის.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან, დასამტკიცებლად წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, სასურველია, დადგენილების პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მითითებულ იქნეს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - **გიორგი გეჯაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25^1 მუხლით გათვალისწინებული მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სახელმწიფო-

ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებლის შემოღების, მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ბატონმა გიორგი კიკვიძემ აღნიშნა, რომ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25[1] მუხლით გათვალისწინებული მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებლის ოდენობები იზრდება და ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-97 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში.

მომხსენებელმა განმარტა, რომ მსგავსად დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხისა, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25[1] მუხლით გათვალისწინებული მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებლის ოდენობების **მომატება განაპირობა შესაბამისი კლასის შენობა-ნაგებობებზე პროექტის დარღვევით მშენებლობის წარმოებისათვის გათვალისწინებული საჯარიმო თანხების გაზრდამ.**

მომხსენებლის თქმით, III კლასს მიკუთვნებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობით 1500 მ^2-მდე და მიწის ზედაპირიდან 14 მ-მდე სიმაღლის შენობა-ნაგებობისთვის: **ერთჯერადი შემოწმება განისაზღვრება 2000 ლარით,** ნაცვლად - 700 ლარისა, **ორი შემოწმება ერთი კალენდარული წლის ვადაში - 3000 ლარით,** ნაცვლად - 1000 ლარისა, **ოთხი შემოწმება ორი კალენდარული წლის ვადაში - 6000 ლარით,** ნაცვლად - 2000 ლარისა; III კლასის შენობა-ნაგებობებისთვის ან/და შენობა–ნაგებობებისთვის, რომლის საერთო სამშენებლო ფართი არ აღემატება 6000 მ^2-ს, გარდა ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობისა: **ერთჯერადი შემოწმება განისაზღვრება 4500 ლარით,** ნაცვლად - 1500 ლარისა, **ორი შემოწმება ერთი კალენდარული წლის ვადაში - 6000 ლარით,** ნაცვლად - 2000 ლარისა, **ოთხი შემოწმება ორი კალენდარული წლის ვადაში - 8000 ლარით,** ნაცვლად - 2500 ლარისა;

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის განმარტებით, ასევე, IV კლასის შენობა-ნაგებობებისთვის ან/და შენობა-ნაგებობებისთვის, რომლის საერთო სამშენებლო ფართი აღემატება 6000 მ^2-ს, **ერთჯერადი შემოწმება განისაზღვრება - 7000 ლარით,** ნაცვლად - 2000 ლარისა, **ორი შემოწმება ერთი კალენდარული წლის ვადაში - 9000 ლარით,** ნაცვლად - 2500 ლარისა, **ოთხი შემოწმება ორი კალენდარული წლის ვადაში - 12000 ლარით,** ნაცვლად - 3500 ლარისა;

მომხსენებელმა ასევე, ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ გაზრდილია სამსახურის სპეციალისტების დატვირთვა არსებულ საქმეთა დიდი რაოდენობიდან გამომდინარე.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა - ბატონმა **ვახტანგ შაქარიშვილმა** მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა, სამსახური

შემოწმებას თავისი ინიციატივითაც ახორციელებს, თუ, მხოლოდ დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე.

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსმა - **გიორგი კიკვიძემ** განმარტა, რომ აღნიშნული მომსახურება არის ფასიანი. მისი თქმით, შემოწმების მსურველი წერს განცხადებას, იხდის მომსახურების საფასურს და ამის შემდგომ ხდება შესაბამისი სამშენებლო ობიექტის დათვალიერება/შემოწმება.

ბატონი **გიორგი კიკვიძის** თქმით, აღნიშნული შემოწმების შემდეგ სამსახური გასცემს რეკომენდაციას და დაინტერესებულ პირს ეძლევა შესაძლებლობა, ჯარიმის დაკისრების გარეშე შეასწოროს შესაბამისი პროექტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - **გიორგი გეჯაძემ** დასძინა, რომ სამსახურს თავისი ინიციატივითაც შეუძლია განახორციელოს შემოწმება, თუმცა განსხვავებით ნებაყოფლობითი შემოწმებისა, დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში სამსახურის მიერ მოხდება შესაბამისი სუბიექტის გაფრთხილება ან/და დაჯარიმება.

ბატონმა **გიორგი გეჯაძემ** დამატებით აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა სამშენებლო საქმიანობის განხორციელებისას სანებართვო პირობების დარღვევა ან/და სხვა რაიმე სახის მნიშვნელოვანი გადაცდომა, (მაგ: შენობისთვის უნებართვოდ სართულის დაშენება; კოეფიციენტის გადაჭარბება და სხვ.) სამსახური აჩერებს მთლიანად ობიექტის მშენებლობას.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია, დადგენილების პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მითითებულ იქნეს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტმა - **მარიამ ჩივაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების

დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 თებერვლის №3-9 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ქალბატონი მარიამის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტით ძალადაკარგულად ცხადდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 თებერვლის №3-9 დადგენილება.

მომხსენებლის თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით მოხდება ასევე, საბჭოს დებულების დამტკიცება.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა - ქალბატონმა **ქეთევან მამულაშვილმა** მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა, რა ფორმით იმუშავებს ახალი საბჭო და რამდენად რელევანტურია მისი ასეთი სახით ფუნქციონირება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შემუშავდება ახალი დებულება, გამოსწორდება არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე დებულებაში გამოვლენილი ხარვეზები და საბჭო იმავე ფორმატით განაგრძობს მუშაობას. ქალბატონი მარიამის თქმით, ასევე, შეიცვლება არასამთავრობო ორგანიზაციებიდან წარმოდგენილი მუდმივმოქმედი წევრის (წევრობის) „ინსტიტუტი“ და ამოქმედდება როტაციის სისტემა, რომლის ფარგლებშიც, საბჭოს წევრად განისაზღვრებიან მხოლოდ 2 (ორი) წლის ვადით. შესაბამისად, ეტაპობრივად მოხდება წევრების განახლება. ამასთან, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტის თქმით, საბჭოში შეიქმნება თემატური ჯგუფები.

მომხსენებელმა დასძინა, რომ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ მითითებაა გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და ზოგადად, პოლიტიკის წარმოებაში უზრუნველყოფილ იქნეს შშმ პირთა მაქსიმალური ჩართულობა და მათი აზრის გათვალისწინება. ქალბატონი მარიამის თქმით, სწორედ ხსენებულ ფუნქციათა მატარებელი იქნება საბჭო.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ბატონი **ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, ასევე, უნდა მიეთითოს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის კონკრეტული პუნქტი/ქვეპუნქტი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - **ლევან მიქავამ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ძირითადად ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და რაიონის გამგეობების მიერ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი დამატებითი მოთხოვნების შესახებ წარმოდგენილი წინადადებების გათვალისწინებით.

ბატონი ლევანის განმარტებით, **იზრდება** შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

- 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები – **1 040,0 ათასი ლარით**, სტიქიის შედეგად დაზარალებული 2 ოჯახისათვის საკომპენსაციო თანხის გასაცემად;
- ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები - **132,6 ათასი ლარით**, ბარათაშვილის ხიდზე საგამოფენო სივრცის მოწყობის მიზნით;
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობის ასიგნებები **-1 180,0 ათასი ლარით;**
- საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების ქვეპროგრამის ასიგნებები - **700,0 ათასი ლარით;**
- წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის ასიგნებები იზრდება - **1 226,7 ათასი ლარით;**

საკითხის წარმომდგენის თქმით, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულ საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების პრიორიტეტის ფარგლებში ემატება ახალი პროგრამა - „თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა“, რომლის ფარგლებში განხორციელდება აღმაშენებლის გამზირზე არსებული ვიდეო სათვალთვალო ქსელის გამართვის, თბილისის მუნიციპალიტეტის ობიექტებში და რიყის პარკის ტერიტორიაზე ერთიანი ვიდეო სათვალთვალო სისტემების დანერგვა-განვითარებისა და შესაბამისი მონიტორინგის ცენტრის მოწყობა და სხვა ღონისძიებები.

მომხსენებელმა დასძინა, რომ 2018 წლისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა **87 966,7 ათასი ლარით.**

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** ასევე აღნიშნა, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის თაობაზე ნორმატიული აქტის პროექტში მითითებული უნდა იყოს მონაცემები იმ ნორმატიული აქტის შესახებ, რომელშიც შეიტანება ეს ცვლილება, კერძოდ, ბატონი ლევანის თქმით წარმოდგენილ პროექტში მითითებულ უნდა იქნეს **ნორმატიული აქტის სათაური, „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებ-გვერდი, ნორმატიული აქტის გამოქვეყნების თარიღი და სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - **ლევან მიქავამ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია თბილისის მერიის საქალაქო სამსახურებიდან, რაიონული გამგეობებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, დაზუსტებულ ასიგნებებისა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას. ასევე, ინფორმაციას საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული

პირების ბიუჯეტების შესრულების წლიური მაჩვენებლების, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

საკითხის წარმომდგენის თქმით, **2017 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 6,063.6 ათასი ლარი, ხოლო 2017 წლის ბოლოსათვის - 35,566.8 ათასი ლარი.**

ბატონმა **ლევან მიქავამ** განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა განისაზღვრა 837,472.6 ათასი ლარით, ხოლო ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 855,436.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის 102.1%.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების გეგმა 771,072.6 ათასი ლარი, ფაქტობრივად 787,200.7 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 102.1% და მთლიანი - შემოსულობების 92.0% შეადგინა. ასევე, საშემოსავლო გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში ფაქტობრივად მიღებულია 91,300.0 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (172,691.0 ათასი ლარი) 81,391.0 ათასი ლარით ნაკლებია, ხოლო, ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 165,644.2 ათასი ლარის შემოსავალი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან - 132,608.4 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი - 17,507.0 ათასი ლარი, მიწის გადასახადიდან - 15,528.8 ათასი ლარი.

მომხსენებელმა დასძინა, რომ **საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 347,711.5 ათასი ლარი.**

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ ბიუჯეტით გათვალისწინებული **სარეზერვო ფონდიდან** საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი **3,445.4 ათასი ლარიდან გადარიცხულია 3,371.5 ათასი ლარი.**

აზრი გამოთქვა:

ბატონი **ლევან ჟორჟოლიანის** განმარტებით, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მიხედვით წლიური ბიუჯეტის შესრულებას ამტკიცებს საკრებულო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ შემუშავებულ იქნა და დასკვნაზე თანდართული დოკუმენტის სახით იქნება წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

წინააღმდეგი - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრი ქალბატონი **ლილე ლიპარტელიანი.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის

ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ უნდა იმსჯელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, ამავე საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - **სერგო ბირკაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი - კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ბატონმა სერგომ განმარტა, რომ უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე მოქალაქეთა პლასტიკური ბარათების მგზავრობის მიზნით გამოყენებისას, ხშირია შემთხვევები, როდესაც ამ პლასტიკური ბარათებით სარგებლობენ არაუფლებამოსილი პირები, რაც სრულიად მიუღებელია.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი მიმართულია უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე მოქალაქეთა პასუხისმგებლობის ამაღლებისკენ, რათა აღმოიფხვრას მათი კუთვნილი სამგზავრო პლასტიკური ბარათის სხვა პირზე ნებისმიერი ფორმით გადაცემის ფაქტები, რასაც მოჰყვება არაუფლებამოსილი პირის მიერ პლასტიკური ბარათით სამგზავრო ბილეთის აღება, რაც, თავის მხრივ, იწვევს დედაქალაქის ბიუჯეტიდან არამიზნობრივი ხარჯების გაცემას.

საკითხის წარმომდგენის თქმით, არაუფლებამოსილ პირთა მიერ შესაბამისი პლასტიკური ბარათის გამოყენება არის არა მხოლოდ საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივი ხარჯვის ხელშეწყობა, არამედ, მსგავსი არაკანონიერი ქმედებით დიდი ფინანსური ზარალი ადგება თბილისის სატრანსპორტო კომპანიას და თანხა აკლდება სამომავლოდ განსახორციელებელ პროექტებსა და ღონისძიებებს.

ბატონმა **სერგო ბირკაძემ** დასძინა, რომ ზემოხსენებული შემთხვევების აღმოსაფხვრელად წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ბარათის კანონიერი მფლობელისთვის **6 (ექვსი) თვის** განმავლობაში უფასო ან შეღავათიანი მგზავრობის ბარათით სარგებლობის უფლების ჩამორთმევას (ბარათის დაბლოკვას). მისი თქმით, ბარათის განბლოკვა და სამგზავრო ფუნქციის აღდგენა განხორციელდება აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, ავტომატურად, უფასოდ.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარის მოადგილემ - ბატონმა **ვახტანგ შაქარიშვილმა** მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა,

არსებობს თუ არა ტექნიკურად, შესაბამისი პროგრამის მეშვეობით მსგავს დარღვევათა აღკვეთის შესაძლებლობა. ამასთან, აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია მონიტორინგის გაძლიერება, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი მსგავსი დარღვევები.

ბატონმა **სერგო ბირკაძემ** ხსენებულ კითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ იგეგმება ამ მიმართულებით არსებული პრაქტიკის გაუმჯობესება. მისი თქმით, სატრანსპორტო კომპანია მუშაობს, რათა თანამედროვე, საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით დაინერგოს ისეთი სისტემა, რომელიც აღკვეთს მსგავს ფაქტებს.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიესალმება წარმოდგენილ პროექტსა და ბატონი **ვახტანგ შაქარიშვილის** ინიციატივას პროგრამული კონტროლის დანერგვასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ ასევე, აღნიშნა, რომ კომისია, მიზანშეწონილად მიიჩნევს დადგენილების პრეამბულაში სამართლებრივ საფუძვლად საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის მითითებას.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ადმინისტრაციის უფროსმა - **თამარ მათიაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3, IV მ/რ, კორპუსი №425-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (ს/კ:№01.19.39.002.091; №01.19.39.002.092) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის, IV მ/რ, კორპუსი №425-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების ა(ა)იპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის“ სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას, აღნიშნულ ტერიტორიაზე საფეხბურთო მოედნის მოწყობის მიზნით.

მომხსენებლის თქმით, ა(ა)იპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ პრეზიდენტმა 2018 წლის 20 მარტს წერილით მომართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და ითხოვა ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის, IV მ/რ, კორპუსი №425-ის მიმდებარედ არსებული 13 390 კვ. მ. და 4 853 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა, იმ

ვალდებულებით, რომ ფედერაცია, მიწის ნაკვეთების გადაცემიდან 6 თვის ვადაში, მოაწყობს ხელოვნურსაფარიან საფეხბურთო მოედანს და უზრუნველყოფს მის მუდმივ ფუნქციონირებას. ამასთან, საფეხბურთო მოედნით სარგებლობა უსასყიდლოდ შეეძლებათ ბავშვთა საფეხბურთო სკოლებს, ჩატარდება რეგიონალური კლუბების თამაშები, ივარჯიშებენ და თამაშებს გამართავენ საქართველოს ასაკობრივი ნაკრებები.

ქალბატონი თამარის განმარტებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილი, 2018 წლის 29 მარტის წერილის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური შესაძლებლად მიიჩნევს მიწის ნაკვეთების ფედერაციისათვის გადაცემას, საფეხბურთო მოედნის მოწყობისა და ამ ობიექტისათვის სპორტული პროფილის მუდმივად შენარჩუნების მიზნით.

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ადმინისტრაციის უფროსის განმარტებით, ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთების გასხვისება, საფეხბურთო მოედნის მოსაწყობად, შესაძლებლად მიიჩნია ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა.

მომხსენებლის თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ზემოხსენებული მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლებლად მიიჩნევს, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთების ა(ა)იპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის“ **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემას** შემდეგი საპრივატიზებო პირობების გათვალისწინებით:

ა) პრივატიზებული მიწის ნაკვეთების ტერიტორიაზე ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის მოწყობა (შესაბამისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით) და ექსპლუატაციაში მიღება ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში;

ბ) პრივატიზებული მიწის ნაკვეთების ტერიტორიის განვითარება და ფუნქციონირება მხოლოდ სპორტული დანიშნულებით (ტერიტორიის ფუნქციონირებისათვის საჭირო ობიექტების განთავსების შესაძლებლობით) და ტერიტორიაზე სპორტული პროფილის მუდმივად შენარჩუნება.

აზრი გამოთქვა:

ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** აღნიშნა, რომ მიესალმება წარმოდგენილ პროექტს.

სხდომის თავმჯდომარემ სამართლებრივი შენიშვნის სახით, აღნიშნა, რომ სასურველია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი. ასევე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 118[1] მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, თბილისის უძრავი ქონების, აქციებისა და წილების პირდაპირი განკარგვის ან/და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და ხელშეკრულების პირობებს განსაზღვრავს მთავრობა თბილისის საკრებულოს თანხმობით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. სხდომის თავმჯდომარემ - **ლევან ჟორჟოლიანმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალური შემადგენლობის ცვლილების შესახებ საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მ/წლის 13 აპრილს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს **№03-031810315** განცხადებით მიმართა ამავე საკრებულოს წევრმა ბატონმა **ვახტანგ შაქარიშვილმა** და გამოთქვა სურვილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობიდან გასვლისა და ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში შესვლის თაობაზე. ასევე, მ/წლის 13 აპრილს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს წევრმა **ჯაბა ჯიშკარიანმა №03-031810318** განცხადებით აცნობა, რომ ტოვებს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის შემადგენლობას და აქვს სურვილი ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის შემადგენლობაში შესვლის თაობაზე.

აგრეთვე, ბატონი ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მ/წლის 13 აპრილს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს მიმართა საკრებულოს წევრმა **რევაზ სოხაძემ №03-031810336** განცხადებით და გამოთქვა სურვილი სატრანსპორტო საკითხთა კომისიის შემადგენლობიდან გასვლისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში შესვლის თაობაზე. ასევე, მ/წლის 13 აპრილს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს მიმართა საკრებულოს წევრმა **ნინო ლაცაბიძემ №03-031810346** განცხადებით და გამოთქვა სურვილი ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის შემადგენლობიდან გასვლისა და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობაში შესვლის თაობაზე.

ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** დასძინა, რომ ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ მოამზადა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი შესაბამისი დანართებით, რომელიც დანართის სახით თან დაერთვება “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალური შემადგენლობის ცვლილების საკითხის თაობაზე“ მომზადებულ დასკვნას.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა

პერსონალური შემადგენლობის ცვლილების საკითხის თაობაზე დასკვნას დანართის სახით დაერთვება კომისიის მიერ მომზადებული "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალური შემადგენლობის ცვლილების საკითხის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც განხილულ იქნება ამავე საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე		ლევან ჟორჟოლიანი
სხდომის მდივანი		თინათინ კასრაძე